ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს
მუნიციპლიტეტის მერის მინდია ჟღერიას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების პროექტი შემუშავება განპირობებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის შედეგად განხორციელებული ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც უქმდება მერიის ზედამხედველობის სამსახური და ფუძნდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია“, რომელიც იქნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამართალმემკვიდრე და განახორციელებს უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობით ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც დაკავშირებული იყო ზედამხედველობის სამსახურის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან საჭიროებს ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, ცვლილება უნდა შევიდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში, რომლითაც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი და განსაზღვრულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანო და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ასევე დამტკიცებულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმები.

აღნიშნული პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია